

**თანასწორი გარემოს ხელშეწყობა შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე
პირებისა და ხანდაზმულებისთვის**

„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“
ანგარიში

(ოქტომბერი 2018 – ოქტომბერი 2019)

ავტორები:

ანა სალდაძე

თამარ რობაქიძე

ანგარიში გასული საუკუნის მუშაობაზე:

ანა სალდაძე

ანა თავხელიძე

თამარ რობაქიძე

სოფიკო მენაბდიშვილი

რედაქტორი:

ნინო ბაქიშვილი

თარგმანი:

თამუნა ნადირაძე

ანგარიში პასუხისმგებელი:

ანა აბაშიძე



წინამდებარე ანგარიში გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ კვლევაში გამოთქმული მოსაზრება, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი.....	4
ძირითადი მიგნებები.....	6
I. დისკრიმინაციის საქმის წარმოებისას გამოვლენილი ტენდენციები.....	8
პოზიტიური მაგალითები.....	8
• საქმის განხილვის დასრულება მორიგებით.....	8
• მორალური ზიანი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონოდ მოთავსების გამო.....	9
საქმეთა გაჭიანურების პრაქტიკა - „დაგვიანებული სამართალი“.....	11
• ს.ქ. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.....	12
• დ.ხ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ.....	13
• მ.მ. ლიბერთი ბანკის წინააღმდეგ.....	13
II. ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები.....	14
სათანადო სერვისების არ არსებობა.....	14
ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებულ პირებთან ადვოკატების შეხვედრის ხელშეშლა..	17
ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით მოთავსების პრაქტიკა.....	19
არანებაყოფლობითი მკურნალობის მარეგულირებელი კანონმდებლობა.....	21
III. სახელმწიფოს დისკრიმინაციული პოლიტიკა სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირებთან მიმართებით.....	22
ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა.....	22
• საერთაშორისო სტანდარტები.....	22
• ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.....	24
• კერძო პანსიონატები.....	25
• დიდი ზომის სახელმწიფო პანსიონატები.....	26
• სახელმწიფო დაფინანსების სისტემა და მონიტორინგის შედეგები.....	27
• დისკრიმინაციული პოლიტიკა.....	29
შპმ პირთა პანსიონატები.....	30
• დიდი ზომის ინსტიტუციების არსებობა, როგორც სისტემური დისკრიმინაცია.....	30
• პანსიონატებში არსებული არასასურველი გარემო.....	31
• სათანადო უწყებების მხრიდან შპმ პირთა საჭიროებების უგულებელყოფა.....	32
დასკვნა.....	34
რეკომენდაციები.....	35

შესავალი

PHR-ი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღების დღიდან, აქტიურად მუშაობს კანონის აღსრულების მონიტორინგისა და ხელშეწყობის მიმართულებით. დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით, ორგანიზაციას უკვე შემუშავებული აქვს რამდენიმე სპეციალური ანგარიში¹. გასული წლის ანგარიშებმა დეტალურად მოიცვა ორგანიზაციის მიერ შექმნილი მნიშვნელოვანი პრეცედენტები, ასევე ის პრობლემები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (შემდგომში, შშმ პირთა) წინაშე წლებია დგას და არსებითად არ იცვლება.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია, მიმოიხილოს საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობის შედეგად გამოვლენილი გამოწვევები და ცალკეულ ჯგუფთა წინაშე არსებული პრობლემები, როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციური თვალსაზრისით. დოკუმენტში გამახვილდება ყურადღება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ფსიქიკური ჯანმრთელობა, შშმ პირთა ინსტიტუციებსა და ხანდაზმულ პირთა პანსიონატებში არსებული გამოწვევები. ანგარიშის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ სახელმწიფოს შესაბამისი უწყებების პასუხისმგებელი პირები, თავად ის ადამიანები, რომელთა ინტერესებსაც ეხება დოკუმენტი და ყველა სხვა დაინტერესებული პირი.

დისკრიმინაციის საკითხებზე მუშაობის გამოცდილებისა და ამ პერიოდის მანძილზე შექმნილი მნიშვნელოვანი პრეცედენტების მიუხედავად, სახელმწიფომ დღემდე ვერ უზრუნველყო მოწყვლადი ჯგუფების მძიმე უფლებრივი მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება. ადამიანებს ყოველდღიურად უწევთ ბრძოლა გარემოს მისაწვდომობის, საჯარო თუ კერძო სერვისების, მათ შორის, არსებობისთვის აუცილებელი მომსახურებებით სარგებლობისთვის. შემამოთხეველია ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა პრაქტიკული და უფლებრივი მდგომარეობა. ისინი განგრძობითად განიცდიან საზოგადოებრივ ზეწოლას, სტიგმას, რისი შედეგიც სოციალური მათი გარიყვაა. ნეგატიური მდგომარეობის შენარჩუნებას ხელს უწყობს ქვეყანაში ადამიანის ღირსებისა და მათი უფლებების პატივისცემაზე ნაკლებად ორიენტირებული პოლიტიკა.

ანგარიშის თავისებურებას ნაკლებად პროფესიული და მკითხველზე ორიენტირებული ენა წარმოადგენს. ორგანიზაციის სურვილია, ანგარიშის წაკითხვა და პრაქტიკაში გამოყენება შეძლოს ყველა პროფესიისა თუ გამოცდილების მქონე მკითხველმა, ასევე, იმ პირებმა, ვისი უფლებების დაცვის საკითხსაც მოიცავს ანგარიში.

ანგარიში მეთოდოლოგიურად შედგენილია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და იმ რეალური საქმეების ანალიზის საფუძველზე, რომელიც ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში (2018 წლის ოქტომბერი - 2019 წლის ოქტომბერი) აწარმოა, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გამოყენების გზით.

¹ PHR, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად, 2017 წელი, <https://bit.ly/2LpsMe5>
PHR, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად, 2018 წელი, http://phr.ge/home/content?content_id=827

ანგარიშის პირველ თავში განხილულია დისკრიმინაციის საქმედების წარმოებისას მართლმსაჯულების სისტემაში გამოვლენილი როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ტენდენციები. დოკუმენტის მეორე თავი ეხება ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, ხოლო, მესამე თავი მოიცავს სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირთა (შშმ პირთა სადღეღამისო დაწესებულებები, ხანდაზმულთა პანსიონატები) უფლებრივი მდგომარეობის შეფასებას და მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების აღწერას.

აღსანიშნავია, რომ პირველი წელია, რაც PHR-მა ხანდაზმულთა საკითხებზე მუშაობა დაიწყო. შესაბამისად, ანგარიშის ეს თავი ვერ ასახავს ამ მიმართულებით რეალობაში არსებულ ყველა საკითხს. იგი შემოიფარგლება სახელმწიფო მზრუნველობის სისტემაში მცხოვრები ხანდაზმული მოქალაქეების მდგომარეობის აღწერითა და შესაბამისი რეკომენდაციებით. თუმცა, პრობლემა ბევრად ფართო და ყოვლისმომცველია და საჭიროებს ინტენსიური მუშაობის გაგრძელებას.

წინამდებარე ანგარიშის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერის გარეშე, რომელიც მრავალი წელია აძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებას, რაც ქმნის გარანტიას, რომ თემები, რომლებიც ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს აწუხებთ, ყურადღების მიღმა არ დარჩება. ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს უფებადარღვევების და დისკრიმინაციის შემთხვევების პრევენციას.

ძირითადი მიზნები

ანგარიშში განხილული საკითხების შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიზნები:

- საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციული მოპყრობის აღიარებასა და მსხვერპლის ინტერესების დაკმაყოფილებას ერთ-ერთი კერძო საბავშვო ბაღის მხრიდან. გვჯერა, რომ ასეთი პრეცედენტები ზრდის საზოგადოების პასუხისმგებლობას, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა მომავალში მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად;
- პირველად სასამართლო პრაქტიკაში, სასამართლომ არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონოდ მოთავსების გამო, მოსარჩელე ქალის სასარგებლოდ, სამკურნალო დაწესებულებას მორალური ზიანის ანაზღაურება (5000 ლარი) დააკისრა. დავა გრძელდება სააპელაციო სასამართლოში. თუმცა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წინ გადადგმული ნაბიჯია ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებების დაცვის სტანდარტის გაუმჯობესების მიმართულებით;
- არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონოდ მოთავსების საქმეებზე სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მხოლოდ პაციენტის ღიაგნოზზე მითითება არ შეიძლება გახდეს მისი სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსების საფუძველი, რაც ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს;
- კვლავ პრობლემად რჩება სასამართლოს მხრიდან საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრაქტიკა, რაც აფერხებს განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფთა უფლების დაცვის პროცესს და შეიძლება შეფასდეს, როგორც დაგვიანებული მართლმსაჯულება;
- არაეფექტურად სრულდება დეინსტიტუციონალიზაციის გაცხადებული მიზანი. კვლავ არ არსებობს დეინსტიტუციონალიზაციის დეტალური გეგმა, ხოლო ცალკეულ დოკუმენტებში განერილი ვალდებულებები პრაქტიკულად არ სრულდება. საქართველოში კვლავ არსებობს სეგრეგირებული, სპეციალიზებული დაწესებულებები (ფსიქიატრიული დაწესებულებები, შშმ პირთა ინსტიტუციები) რაც განაპირობებს სტიგმას ადამიანების მიმართ, ახალისებს არაეთიკურ, ხშირად, სასტიკ დამოკიდებულებას შშმ პირების მიმართ;
- სათანადო სერვისების არარსებობის მიმართულებით ერთ-ერთ ძირეულ გამოწვევას წარმოადგენს საცხოვრისისა და სათემო სერვისების უკიდურესი სიმცირე იმ პირებისთვის, რომელთა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში დაყოვნების აუცილებლობა არ არსებობს. ადამიანები წლების განმავლობაში იძულებულები არიან, ცხოვრობდნენ საზოგადოებისგან შორს, იზოლირებულად და არ ჰქონდეთ

შესაძლებლობა, დაუბრუნდნენ საზოგადოებას. განსაკუთრებით შემამფოთებელია ბავშვთა განყოფილება, რომელიც განკუთვნილია ბავშვთა ხანმოკლე დაყოვნებისთვის, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ბავშვების ხანგრძლივი საცხოვრებლის ფუნქციას ითავსებს, რაც უხეშად არღვევს ბავშვთა ფუნდამენტურ უფლებებს;

- პრობლემატურია 15-დან 18 წლამდე ასაკის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა სტაციონირების საკითხი. მოქმედი კანონმდებლობა უშვებს 15-17 წლის ასაკის პაციენტების მოზრდილთა განყოფილებაში განთავსების შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და საერთაშორისო სამართლით დაცულ უფლებებს;
- ფსიქიატრიული დაწესებულებების ადმინისტრაციის მხრიდან ადგილი აქვს უფლებადამცველებისთვის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებულ პირებთან შეხვედრის ხელშეშლის ფაქტებს. პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებს. მისი გადაჭრის კუთხით ჯანდაცვის სამინისტრო უმოქმედოა;
- სახელმწიფო სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულთა საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებას. სადღეღამისო დაწესებულებების მართვის პოლიტიკა, მათ შორის, ფინანსური უზრუნველყოფა, საჭიროებს ძირეულ ცვლილებას იმგვარად, რომ თითოეულ ხანდაზმულ უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული საცხოვრებელი პირობებით. ხანდაზმულები უნდა იღებდნენ ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამის მომსახურებას;
- შშმ პირთა პანსიონატებში კვლავ ნარჩუნდება კონფლიქტური გარემო. ხშირია, როგორც უშუალოდ მაცხოვრებლებს, ასევე მაცხოვრებლებსა და პერსონალს შორის დაძაბული, კონფლიქტური სიტუაციები, რომლის განეიტრალება და მართვა ვერ ხდება დაწესებულებათა ადმინისტრაციის მხრიდან. პანსიონატში მაცხოვრებელ პირებთან მიმართებით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სათანადო უწყებების მხრიდან მათ საჭიროებებზე დროული და ეფექტური რეაგირება.

I. დისკრიმინაციის საქმის წარმოებისას გამოვლენილი დანდენიები

კოფიტიური მაგალითები

- საქმის განხილვის დასრულება მორიგებით

საანგარიშო პერიოდში დადებითად უნდა შეფასდეს დისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებული დავის მხარეთა შორის მორიგებით დასრულების შემთხვევა. ბავშვს, რომლის ინტერესებსაც სასამართლოში PHR-ის იურისტები იცავდნენ, თბილისის ერთ-ერთმა კერძო ბაღმა, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, ფულადი კომპენსაცია ნებაყოფლობით გადაუხადა. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებითაც ინფორმაცია მითითებულია ორგანიზაციის გასული წლის ანგარიშში (თუმცა, აღნიშნულ საქმეზე სამართლებრივი შედეგის მიღწევა მხოლოდ წელს გახდა შესაძლებელი)².

ნ.კ. თბილისის ერთ-ერთ კერძო ბაღში 2 წლის ასაკის აღსაზრდელთა ჯგუფში ირიცხებოდა. 2018 წლის იანვრის თვეში ბაღის ადმინისტრაციამ ბავშვი დაწესებულებიდან გარიცხა. მათი განმარტებით, ბავშვი იყო აგრესიული, ზედმეტად აქტიური და არ შეეძლო ჯგუფში მუშაობა. გარიცხვის დოკუმენტში აღინიშნა ისიც, რომ სხვა აღსაზრდელის მშობლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ნ.კ-ს ქმედებებთან დაკავშირებით.

PHR-მა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა. ამასთან, საკითხი შეისწავლა საქართველოს სახალხო დამცველმა და შეიმუშავა რეკომენდაცია, სადაც ბავშვის მიმართ პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტი დაადგინა. რეკომენდაციაში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ მოპასუხე მხარე არ მოქმედებდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ვინაიდან გარიცხვამ, შესაძლოა, მძიმე ტრავმა მიაყენოს აღსაზრდელის ფსიქიკას³.

ბაღის ადმინისტრაციამ სრულად გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და დათანხმდა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით დისკრიმინაციის მსხვერპლი ბავშვისთვის ფულადი კომპენსაციის ნებაყოფლობით გადახდას, რის შედეგადაც თბილისის საქალაქო სასამართლომ მხარეებს შორის მორიგების აქტი დაამტკიცა.

აღნიშნული შემთხვევა პრეცედენტულია, რამდენადაც ბაღის, როგორც დისკრიმინაციის განმახორციელებელი პირის მხრიდან, ფაქტობრივად, მოხდა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის აღიარება, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ ბაღმა იგრძნო პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებაზე. დავის მორიგებით დასრულების შემთხვევა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ, ერთი მხრივ, მოხდა

² პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად, 2018, გვ.22

³ საქართველოს სახალხო დამცველი, 2018 წლის 16 აპრილის რეკომენდაცია ქცევის ნიშნით აღქმითი პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ; <http://ombudsman.ge/uploads/other/5/5192.pdf>

სასამართლო რესურსების დაზოგვა, ხოლო მეორე მხრივ - დისკრიმინაციის მსხვერპლმა სწრაფად შეძლო დარღვეული უფლების აღდგენა. ამავდროულად, პასუხისმგებლობის გააზრება მნიშვნელოვანი წინაპირობაა მომავალში მსგავსი უკანონო ქმედებების თავიდან ასაცილებლად.

- **მორალური ზიანი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უკანონოდ მოთავსების გამო**

2019 წლის 31 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება⁴, რომლითაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოს, ქალის საავადმყოფოში არანებაყოფლობით უკანონოდ მოთავსებით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 5000 ლარის გადახდა დააკისრა.

სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტულია, რამდენადაც ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ იმსჯელა სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ჭრილში ფსიქიატრიულ საავადმყოფოებთან მიმართებით. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად გააძლიერებს ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხს ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არ არის შესული. მასზე მსჯელობა სააპელაციო სასამართლოში გრძელდება.

2017 წლის ოქტომბერში, მ.მ., დედის მიერ საპატრულო პოლიციის გამოძახების საფუძველზე, პოლიციისა და სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მიერ იძულებით გადაყვანილი იქნა ერთ-ერთ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების გაწევის მიზნით. მ.მ-ს გადაყვანა ისე განხორციელდა, რომ საპატრულო პოლიციასა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმს არ მოუსმენიათ მ.მ-ის აზრი ოჯახში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მ.მ. ამტკიცებდა, რომ დედა მის მიმართ ძალადობდა და იძულებით მკურნალობას მისი დასჯის მიზნით ითხოვდა. თან ეს არ იყო პირველი გამოცდილება მის ცხოვრებაში.

შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2017 წლის 18 ოქტომბრის ბრძანებით, მ.მ. მოათავსეს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში. მ.მ. სტაციონარში 11 დღის განმავლობაში იმყოფებოდა. მოთავსების დღიდან გათავისუფლებამდე მას არ ჩატარებია ფსიქიატრიული მკურნალობის კურსი და არ მიუღია არანაირი მედიკამენტი.

4 თბილისის საქალაქო სასამართლო, 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე N2/37031-18; აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ქ.თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრმა“, შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ზედა ინსტანციის სასამართლო.

ორგანიზაციამ საქალაქო სასამართლოს აღნიშნული ბრძანება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. შედეგად, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლემ სრულად გაიზიარა PHR-ის იურისტების პოზიცია და გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების მიღების მიზნით მ.მ-ს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება იყო უკანონო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, PHR-ის სამართლებრივი დახმარების შედეგად, მ.მ-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და თავისუფლების უკანონო შეზღუდვის გამო ფსიქიატრიული დაწესებულებისგან მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ნინო მამულაშვილმა, გაიზიარა PHR-ის იურისტების პოზიცია და ფსიქიატრიულ საავადმყოფოს მ.მ-სთვის საავადმყოფოში უკანონოდ, არანებაყოფლობით მოთავსებით მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 5000 ლარის გადახდა დააკისრა.

გადაწყვეტილებაში სასამართლომ რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა: სასამართლომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობით მოთავსება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, გაუთანაბრა თავისუფლების შეზღუდვას და აღნიშნა, რომ თავისუფლების უკანონო შეზღუდვით ხელყოფილ იქნა მ.მ-ის პატივი და ღირსება, პირადი ცხოვრების ავტონომიაზე უფლება, რამაც მას ღრმა ზნეობრივ-ფსიქიკური ტანჯვა განაცდევინა⁵.

გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „სასამართლო მიიჩნევს, რომ 2017 წლის 17 ოქტომბერს მოსარჩელის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და კონვენციის მოთხოვნათა დარღვევით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის აღსრულებამდე - მოსარჩელის სტაციონარიდან განერამდე, **უნდა შეფასდეს მ.მ-ის თავისუფლების უკანონო შეზღუდვად**, რაც მას ანიჭებს შესაბამისი კომპენსაციის მიღების უფლებას, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე - უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება, ასევე, კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად - ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევის გამო, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება⁶“.

გადაწყვეტილებაში სასამართლომ, ასევე, მკაცრად გააკრიტიკა ექიმ-ფსიქიატრთა დამოკიდებულება მ.მ-ის მიმართ და აღნიშნა, რომ: „მოსარჩელის ქმედებები (უარი საჭმლის და მედიკამენტების მიღებაზე), ისევე როგორც სურვილი დაეტოვებინა სტაციონარი, ფსიქიატრიული დაწესებულების მედპერსონალის მიერ განიხილებოდა

5 თბილისის საქალაქო სასამართლო, 2019 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე N2/37031-18, გვ.16

6 იქვე, გვ.13

ცალსახად, როგორც პაციენტის ფსიქიკური დაავადების სიმპტომები და არა როგორც პიროვნული თავისუფლების გამოხატული სურვილი და ობიექტური პროტესტი მისი უფლებების ხელყოფაზე⁷“. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ფსიქიატრებმა მათ კომპეტენციაში შემავალი საკითხის გადასაჭრელად არსებითი გარემოებები ზედაპირულად შეისწავლეს, რასაც მოჰყვა მ.მ-ის კონსტიტუციური უფლებების შელახვა.

ორგანიზაციის შეფასებით, სასამართლომ განხილული გადაწყვეტილების საფუძველზე მოახდინა გაეროს შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მე-14 მუხლის სტანდარტის აღსრულება, რაც მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით. აღნიშნული ნორმის თანახმად: „წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ შემლუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე: ა) ისარგებლონ პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებით არ მოხდეს მათთვის თავისუფლების უკანონოდ ან თვითნებურად აღკვეთა, რომ ნებისმიერი სახის თავისუფლების აღკვეთა იყოს კანონთან შესაბამისობაში და შემლუდული შესაძლებლობები არც ერთ შემთხვევაში არ წარმოადგენდეს თავისუფლების აღკვეთის საფუძველს.“

საქმეთა გაჭიანურების პრაქტიკა - „დაგვიანებული სამართალი“

წარმატებულ საქმეთა პარალელურად მართლმსაჯულების მისაწვდომობის კუთხით, მნიშვნელოვან და გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს საქმეთა გაჭიანურების პრაქტიკა, რაც ხშირ შემთხვევაში საქმეთა პრიორიტეტიზაციის პრობლემას უკავშირდება და სრულიად დამაზიანებელია ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის. ორგანიზაციის პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმეთა განხილვის გაჭიანურებამ სისტემური ხასიათი მიიღო. ადამიანებს, ვისი უფლებებიც დისკრიმინაციულად დაირღვა, წლებია უწევთ საქმის განხილვის ლოდინი. ესენი არიან ბავშვები, რომლებიც მართლმსაჯულების ორგანოში ითხოვენ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი უფლების აღდგენას; ქალები, რომლებიც განიცდიან სხვადასხვა სახის ძალადობას და შევიწროებას; შშმ პირები, რომლებიც დისკრიმინაციულად ვერ სარგებლობენ თანაბარი მოპყრობით, რითაც ღირსება ელახებათ და სხვა.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლითა და ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება ასევე გულისხმობს საქმის გონივრულ ვადებში განხილვასაც, რაც თავის მხრივ,

⁷ იქვე, გვ. 17

სასამართლოს მისაწვდომობასა და სწრაფ მართლმსაჯულებაზე აისახება. სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განუხილველობა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას იწვევს⁸.

პრობლემის სიმწვავის საილუსტრაციოდ, მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ორგანიზაციის წარმოებაში არსებული რამდენიმე საქმე, სადაც მოსარჩელები ჯერ კიდევ ელოდებიან დავის განხილვის დასრულებას პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, აღნიშნული საქმეები, დავის არსიდან გამომდინარე, პრეცედენტულია და ეხება ადამიანების ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას.

• ს.ქ. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ

საქმე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისთვის ს.ქ-სთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სახელმწიფო სერვისის არარსებობას, როგორც დისკრიმინაციას. საქმეში მესამე პირად ჩართულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ორგანიზაციამ თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა 2016 წლის 20 ივნისს და უკვე მესამე წელია საქმის განხილვის დასრულებას უშედეგოდ ელოდება. აღსანიშნავია, რომ საქმის განხილვის დაჩქარების მიზნით, ორგანიზაციამ 3-ჯერ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით, თუმცა ამას შედეგი არ მოჰყოლია. ასევე, საქმის განხილვის მიმდინარეობისას შეიცვალა მოსამართლე, რამაც გამოიწვია თითქმის დასრულებული განხილვის თავიდან დაწყება.

დავის სწრაფად დასრულებასა და ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული სერვისის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც სათანადო სერვისის არარსებობის პირობებში ს.ქ. და მის მდგომარეობაში მყოფი არაერთი ბავშვი დგას ოჯახის მიტოვების, მშობელთან დაშორების და ბავშვთა სახლში მოთავსების საფრთხის წინაშე. გარდა ინსტიტუციონალიზაციის საფრთხისა, სათანადო სერვისის დროულად მიუწოდებლობის პირობებში, დღითიდღე იზრდება ამ ბავშვთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელყოფის საფრთხეც. შესაბამისად, თუ სწრაფად არ მოხდება საქმის განხილვა და ს.ქ-სა და მის მდგომარეობაში მყოფი პირების საჭიროებაზე მორგებული სერვისის შექმნა, შესაძლებელია ფსიქო-სოციალური და რთული ქცევის მქონე ბავშვები სავალალო შედეგის წინაშე დადგნენ. ასეთ საქმეთა 3 წელზე მეტი ვადით განხილვის პრაქტიკა კი სრულიად უკარგავს აზრს სამართლებრივ დავას. შესაბამისად, მართლმსაჯულება აღუსრულებელია შშმ ბავშვთა მიმართ.

⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1983 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ციმერმანი და შტაინერი შვეიცარიის წინააღმდეგ“

• დ.ბ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ

საქმე ეხება ეტლით მოსარგებლე შპმ პირისთვის პოლიციელების მხრიდან ღირსების შემლახველი, დამამცირებელი და დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტს.

PHR-მა, სასამართლოს სარჩელით მიმართა 2016 წლის 14 სექტემბერს. მიუხედავად საქმის დაჩქარების არაერთი მცდელობისა (მათ შორის, საქმის დაჩქარების მოთხოვნით მიმართეთ კოლეგიის თავმჯდომარესაც), 3 წლის განმავლობაში საქმეზე მოსამზადებელი სხდომაც არ ჩატარებულა.

მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურის დამოკიდებულებაც, კერძოდ, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება პოლიციელების მხრიდან დ.ბ.-ს მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე. პროკურატურის განმარტებით, პროკურატურა მოკლებულია შესაძლებლობას მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მიიღოს გადაწყვეტილება მანამ, სანამ არ მოხდება სასამართლოში დისკრიმინაციის საქმის განხილვის დასრულება. გაურკვეველი და სამართლებრივად დაუსაბუთებელია საგამოძიებო ორგანოს მიერ სავარაუდო დანაშაულის ფაქტის სასამართლოში იმავე საქმეზე მიმდინარე დავის შედეგებთან დაკავშირება, რაც არსებითად არ ეხება სისხლის სამართლის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების განხილვას. შესაბამისად, ორგანიზაციის შეფასებით, პროკურატურის მხრიდან ხდება საქმის მსვლელობის უსაფუძვლოდ გაჭიანურება, რაც ხელს უშლის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. ამასთან, ხსენებული პატრულ-ინსპექტორები ამ ეტაპამდე დასაქმებულნი არიან იმავე სამსახურში, შესაბამისად, სათანადო რეაგირების განუხორციელებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, დ.ბ.-ს მსგავსად, სხვა პირებიც გახდნენ პოლიციელების მხრიდან დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლნი.

• მ.მ. ლიბერთი ბანკის წინააღმდეგ

საქმე ეხება უსინათლო პირის მხრიდან საბანკო მომსახურებით სარგებლობის დისკრიმინაციულ შეზღუდვას.

ორგანიზაციამ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2017 წლის 27 აპრილს. დღემდე საქმეზე მოსამზადებელი სხდომაც არ ჩანიშნულა. ხსენებული საქმის დროული დასრულება მნიშვნელოვანია, რამდენადაც ბანკის მიერ არაადაპტირებული სერვისის მიწოდების პირობებში, მოსარჩელეს და სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უწევთ მუდმივად დამოკიდებულნი იყვნენ სხვა პირის დახმარებაზე, რაც ერთი მხრივ დამამცირებელია, ხოლო მეორე მხრივ ხელს უშლის ამ პირთა დამოუკიდებელ ცხოვრებასა და საზოგადოებაში სრულ ინტეგრაციას.

ამდენად, საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრაქტიკის პირობებში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში მართლმსაჯულება საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის ვისაც ობიექტურად მეტად ესაჭიროებათ, სათანადოდ დროული და შესაბამისად, მისაწვდომი არ არის.

II. ფსიქიკური ჯანმრთელობა და ადამიანის უფლებები

სათანადო სერვისების არ არსებობა

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირები ისტორიულად ერთ-ერთ ყველაზე სტიგმატიზებულ და შესაბამისად, დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ, რადგან ისინი, ექვემდებარებიან უფლებების სისტემურ და ყოველდღიურ დარღვევებს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) ფსიქიკური ჯანმრთელობის 2013-2020 წლების სამოქმედო გეგმაში რამდენიმე ძირითად გამოწვევაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ადამიანები ფსიქიკური აშლილობით ადამიანის უფლებების დარღვევის ფართო სპექტრს ექვემდებარებიან⁹.

კრიტიკულად უნდა შეფასდეს არა ერთი დიდი ზომის ინსტიტუციის, ფსიქიატრიული დაწესებულებების არსებობა, როგორც სისტემური დისკრიმინაციის წყარო. სწორედ, ის ფაქტი, რომ საქართველოში არსებობს სეგრეგირებული, დიდი ზომის სპეციალიზებული დაწესებულებები განაპირობებს სტიგმას თემისა და ადამიანების მიმართ, ასევე ახალისებს და ინარჩუნებს არაეთიკურ, ხშირად, სასტიკ დამოკიდებულებას ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირებთან დაკავშირებით. ამასთან, დიდი ზომის დაწესებულებების არსებობა, მათი სპეციალიზებული და ინსტიტუციური შინაარსის გათვალისწინებით, ეწინააღმდეგება გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის მე-19 მუხლს, რომელიც თავის თავში მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციონალიზაციის აკრძალვას¹⁰.

საქართველოს მთავრობამ 2014 წელს შეიმუშავა ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი და 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა¹¹, რომლითაც უნდა დაწყებულიყო დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი და გადადგმულიყო ქმედითი ნაბიჯები სერვისების დიფერენცირების, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ხედვისა და სტიგმის

9 მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO), მენტალური ჯანმრთელობის სამოქმედო გეგმა 2013- 2020, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.who.int/mental_health/action_plan_2013/mhap_brochure.pdf?ua=1>

10 საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში, 2015 წელი, თბილისი, გვ.94

11 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N762 დადგენილება „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის და 2015-2020 წლის სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ“; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2667876?publication=0>

მინიმალიზების მიმართულებით. თუმცა, დღემდე არ მომხდარა მიზნების მისაღწევი ამოცანების განხორციელება.

სათანადო სერვისების არარსებობის მიმართულებით ერთ-ერთ ძირეულ გამოწვევას წარმოადგენს საცხოვრისისა და სათემო სერვისების სიმწირე იმ პირებისთვის, რომელთა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში დაყოვნების აუცილებლობა სამედიცინო კუთხით არ არსებობს, მაგრამ ვერ ახერხებენ დაწესებულების დატოვებას იმ მიზეზით, რომ არ აქვთ საცხოვრებელი ან/და ოჯახის წევრები უარს ამბობენ მათ დაწესებულებიდან გაყვანაზე.¹² ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი წლების განმავლობაში იძულებულია, ცხოვრობდეს საზოგადოებისგან შორს, ხშირ შემთხვევაში უმძიმეს და ღირსების შემლახავ პირობებში¹³ და არ ჰქონდეს შესაძლებლობა, დაუბრუნდეს საზოგადოებას. მართალია, ქვეყანაში არსებობს ინსტიტუციების ალტერნატივა, თუმცა დაფუძნებული საოჯახო ტიპის საცხოვრისების მომსახურების სახით, რომლებიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფინანსდება¹⁴, თუმცა აღნიშნული სერვისით სარგებლობა პრაქტიკულად რთულია ამ ადამიანებისთვის, რამდენადაც არ არსებობს სათემო ორგანიზაცია, რომელიც სრულად ორიენტირებულია ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მცხოვრებ პირებზე. ამასთან, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისი ითვალისწინებს სათემო მომსახურებას და არა ინდივიდუალური საცხოვრისით იმ პირთა დაკმაყოფილებას, რომელთაც აქვთ უნარი იცხოვრონ დამოუკიდებლად. შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა უფრო მეტი ინვესტიცია, რათა სათემო ორგანიზაციებმა დააკმაყოფილონ ამ ადამიანთა საჭიროებები და სახელმწიფო პროგრამა გახდეს ქმედითი. მნიშვნელოვანია, ქვეყანაში სათემო და ინდივიდუალური სერვისების არსებობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის არაერთ ანგარიშში გამახვილდა ყურადღება და პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებებს რეკომენდაცია მიეცათ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ნ თვეზე მეტი ვადით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასების, მათი დაწესებულებიდან გაწერისა და სათემო სერვისებში გადამისამართებასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაცია ასახულია სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიშში, თუმცა, რეკომენდაციის აღსრულება ამ დრომდე არ განხორციელებულა. აღნიშნული კვლავ პრობლემად რჩება სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშის თანახმად¹⁵.

პრობლემებს ვაწყდებით ბავშვთა ფსიქიატრიის მიმართულებითაც. სათანადო სერვისების არარსებობის გამო ხშირად მკურნალობა ან დაგვიანებულია, ან არ იძლევა ეფექტურ შედეგებს. ფსიქიკური დიაგნოზის ან/და ქცევის პრობლემის მქონე ბავშვებისთვის

12 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), უფლება სათანადო საცხოვრებელზე - ძირითადი გამოწვევების ანალიზი, 2018 წელი, გვ. 151-156.

13 საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიში, 2019, გვ. 90.

14 საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N684 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2019 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, დანართი 1.12, სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა.

15 იქვე, გვ. 101-102

არ არსებობს სპეციალიზებული დღის ცენტრები, სადაც მსგავსი საჭიროების მქონე ბავშვებისთვის შესაძლებელი იქნება მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისების მიწოდება. ფსიქიკური დიაგნოზის ან/და ქცევის პრობლემის მქონე ბავშვებისათვის განვითარების ყველა ეტაპზე საჭიროა სოციალიზაცია, მათი უნარების რეალიზაცია, რაც ხშირად არსებული სტიგმიდან და სისტემიდან გამომდინარე ვერ ხერხდება.

რაც შეეხება მკურნალობის მიზნით სტაციონარში მოთავსებას, სტაციონარის პრინციპია ბავშვის ვიზიტი კლინიკაში მაქსიმალურად ხანმოკლე იყოს, პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ არასრულწლოვანმა რაც შეიძლება მცირე დრო გაატაროს და შემდეგ მკურნალობა გარეთ გააგრძელოს და შესაბამისი ალტერნატიული სერვისები მიიღოს, რაც სამწუხაროდ დღევანდელ რეალობაში სხვაგვარადაა. იმის გამო, რომ ქვეყანაში არ არსებობს სათანადო სერვისები, თბილისის N5 კლინიკური საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილება, რომელიც განკუთვნილია ბავშვთა ხანმოკლე დაყოვნებისთვის, ცალკეულ შემთხვევებში ხანგრძლივი საცხოვრებლის ფუნქციას ითავსებს, რაც უკიდურესად შემამოფოთებელია და უხეშად არღვევს ბავშვთა უფლებებს.

პრობლემატურია 15-დან 18 წლამდე ასაკის ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა სტაციონირების საკითხიც. მოქმედი კანონმდებლობა¹⁶ უშვებს 15-17 წლის ასაკის პაციენტების მოზრდილთა განყოფილებაში განთავსების შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და საერთაშორისო სამართლით დაცულ უფლებებს. პრობლემას ქმნის ის ფაქტიც, რომ ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიული განყოფილებები განსხვავებული სტანდარტით მუშაობს და მოზარდს, მიუხედავად მისი ასაკისა, უწევს ზრდასრულთათვის გათვალისწინებულ პირობებში ყოფნა. შედეგად იზრდება მათ მიმართ ძალადობის და უგულებელყოფის რისკი¹⁷.

აღნიშნული საკითხის დისკრიმინაციულობის შესწავლის მიზნით ორგანიზაციამ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს. PHR-ის განცხადების შესწავლის შემდეგ, ომბუდსმენმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განეხორციელებინა შესაბამისი ცვლილებები, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განთავსების პროცესში 15-დან 18-წლამდე არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესის დაცვის მიზნით. სახალხო დამცველის რეკომენდაცია ასახულია საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში¹⁸.

16 „ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 20 მარტის N087/6 ბრძანება, მუხ.3, პუნქ.13.

17 საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017 წელი, გვ. 300

18 იქვე, გვ. 300

სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციიდან ორი წელი სრულდება. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სამინისტროს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ მიეწოდა ინფორმაცია, მას რეკომენდაცია ამ დრომდე არ აღუსრულებია. შესაბამისად, თითქმის ორი წელია, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არასრულწლოვანთა უფლებადარღვევები კვლავ გრძელდება.

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებულ პირებთან ადვოკატების შეხვედრის ხელშეშლა

როგორც საანგარიშო პერიოდში, ასევე გასულ წლებში გამოვლინდა ფსიქიატრიულ დაწესებულებათა ადმინისტრაციის მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტებისთვის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფ პირებთან შეხვედრის ხელშეშლის არაერთი ფაქტი.

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფი პირებისთვის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მიზნით, PHR-ის იურისტები პერიოდულად დაგეგმილად და ასევე იქ მაცხოვრებელი ადამიანების მოთხოვნით, ახორციელებენ ვიზიტებს სხვადასხვა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ორგანიზაციის ინიციატივით დაგეგმილი ვიზიტები განპირობებულია იმით, რომ ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან დაწესებულებაში, მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, სამართლებრივი პრობლემის არსებობის შემთხვევაში თავისუფლად დაუკავშირდნენ უფლებადამცველებს. შესაბამისად, პროაქტიულად ხდება თავად უფლებადამცველების მისვლა დაწესებულებებში.

ორგანიზაციის წარმომადგენლებს შპს. „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ (ხონი, ქუთური) ადმინისტრაციის მხრიდან 2-ჯერ შეეზღუდათ¹⁹ დაწესებულებაში მყოფ პირებთან კომუნიკაციისა და მათი სურვილის შემთხვევაში, იურისტის მომსახურების განხორციელების შესაძლებლობა. მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა სურამის²⁰ ფსიქიატრიულ დაწესებულებასა და შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“²¹ ვიზიტისასაც.

პრობლემის სიმწვავეს ხაზს უსვამს ისიც, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არსებულ ვითარებაზე და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე არაერთხელ გამახვილდა ყურადღება საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშებში. დაწესებულებაში მოთავსებული პირები სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას ღიად

19 იხ. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის საჯარო განცხადება - <https://bit.ly/2T5mdNR>

20 იხ. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის საჯარო განცხადება-https://phrgeorgia.wordpress.com/2018/05/15/phrphrr-5/#_ftn1

21 იხ. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის საჯარო განცხადება - <https://bit.ly/2mnhGdL>

მიუთითებენ დაწესებულების პერსონალის მხრიდან ღირსების შემლახავი, ძალადობრივი და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე²². ამასთან, ომბუდსმენის სპეციალურ ანგარიშში აღინიშნა, რომ ბენეფიციართა მხრიდან უფლებადამცველებთან კომუნიკაცია, შესაძლებელია მათი ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მიზეზი გახდეს²³, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია/პერსონალი არ არის კეთილგანწყობილი უფლებადამცველთა და დაწესებულებაში მყოფ პირთა ურთიერთობის მიმართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებისა და საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივი დახმარების მიღების მიზნით, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფ პირებს, ადგილზე, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ხელი მიუწვდებოდეთ იურისტებთან შეხვედრაზე და მათი მომსახურებით სარგებლობაზე.

აღსანიშნავია, რომ არსებობს გამოწვევები, როდესაც ცალკეული ფსიქიატრიული დაწესებულების თანამშრომლები თავად გვიკავშირდებიან ან/და ეხმარებიან იმ ადამიანებს ჩვენთან დაკავშირებაში, რომელთაც სამართლებრივი დახმარება ესაჭიროებათ. გვსურს, განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ ამ პირთა მიმართ, ამასთან იმედს გამოვთქვამთ, რომ მსგავს შემთხვევებს ექნება არა საგამონაკლისო, არამედ მუდმივი ხასიათი.

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფ პირებთან ადვოკატების შეხვედრის ხელშეშლის ფაქტებზე რეაგირების მიზნით, PHR-მა განცხადებით მიმართა ჯანდაცვის სამინისტროს²⁴, რასაც შედეგი ამ დრომდე არ მოჰყოლია, პირიქით, პრობლემამ მიიღო კიდევ უფრო სისტემური ხასიათი. ფაქტობრივი უმოქმედობა გვაფიქრებინებს, რომ სამინისტროს პრიორიტეტს არ წარმოადგენს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მცხოვრებ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

აღსანიშნავია, რომ PHR-ის მიმართვის საფუძველზე, საადვოკატო საქმიანობის ხელშეშლის კუთხით საკითხს სწავლობს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის უფლებათა დაცვის კომიტეტიც, რამდენადაც ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული ყველა პირისთვის როგორც რეგიონალური²⁵, ასევე საერთაშორისო²⁶ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებათა, რომელიც დაუშვებელია თვითნებურად შეზღუდოს ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან.

22 „ფსიქიატრიული დაწესებულების მონიტორინგის ანგარიში“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2015 წელი, გვ. 35 ; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2017 წელი, გვ. 72.

23 „ფსიქიატრიული დაწესებულების მონიტორინგის ანგარიში“, საქართველოს სახალხო დამცველი, 2015 წელი, გვ. 52.

24 იხ. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის საჯარო განცხადება - <https://phrgeorgia.wordpress.com/2018/04/18/phr-157/>

25 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31.

26 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მუხლი 6; გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 13.

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით მოთავსების პრაქტიკა

პრობლემატურია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით იმ პირთა მოთავსების კანონიერების საკითხი, რომელთაც აქვთ ფსიქიკური დიაგნოზი და/ან წარსულში ერთხელ უკვე მოთავსებულნი იყვნენ მსგავსი ტიპის დაწესებულებაში. ხშირ შემთხვევაში, წარსულში სტაციონირების ფაქტი ნეგატიურ გავლენას ახდენს პირის არანებაყოფლობითი სტაციონირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. კერძოდ, მოქმედებს გარკვეული “ავადმყოფობის პრეზუმფცია”²⁷.

ორგანიზაციის პრაქტიკამ აჩვენა, რომ მსგავსი შემთხვევების არსებობისას, პოლიცია, ექიმ-ფსიქიატრთა საექსპერტო კომისია და სასამართლო მოქმედებენ წინასწარი განწყობით, რომ პიროვნების ქცევა იმთავითვე აღქმული უნდა იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების ნიშნად და გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე პირს არანებაყოფლობით ათავსებენ სტაციონარში. შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან საკითხისადმი მსგავსი მიდგომა იწვევს დისკრიმინაციულ მოპყრობას ფსიქიკური დიაგნოზის ნიშნით²⁸.

PHR-მა შეისწავლა 3 საქმე, როდესაც მოხდა არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ადამიანების მოთავსება. ორგანიზაციის იურისტების საქმეში ჩართვის შედეგად, სამივე ქალი, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, დაუყოვნებლივ წესით გაეწერა ფსიქიატრიული დაწესებულებიდან. ერთ მათგანს სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 5000 ლარიც კი მიაკუთვნა (აღნიშნული საქმის დეტალური განხილვა უკვე მოხდა მორალური ზიანის ანაზღაურების თავში).

საქმეთა ანალიზმა აჩვენა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოები ძირითად შემთხვევაში იზიარებენ ექიმ-ფსიქიატრთა დასკვნას და არასათანადო მნიშვნელობას ანიჭებენ თავად ადამიანის განმარტებას, რომლის მიმართაც არის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობა გამოყენებული. არასათანადოდ იკვლევენ კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საკითხს და მტკიცებულებებს. ჩვენ მიერ წარმოებულ საქმეებში, არც ერთ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია, პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება ხომ არ იყო პროვოცირებული ოჯახის წევრების ან მესამე პირთა მხრიდან, კერძოდ, ხომ არ ჰქონდა ადგილი ფსიქოლოგიურ ან ფიზიკურ ძალადობას ოჯახის რომელიმე წევრის ან მესამე პირთა მხრიდან. უფრო მეტიც, განსახილველი 3 შემთხვევიდან, 2 შემთხვევაში პირი ოჯახში ძალადობის მსხვერპლად იქნა აღიარებული, გამოიცა ორდერი და ამავდროულად ამ პირის მიმართ განხორციელდა არანებაყოფლობითი მკურნალობა იმ საფუძველით,

²⁷ საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში, 2015 წელი, თბილისი, გვ. 11.

²⁸ კოალიცია თანასწორობისთვის, დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფებისთვის საქართველოში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავი, 2017 წელი, გვ. 39.

რომ ის ზიანს აყენებდა ოჯახის წევრებს. მეორე შემთხვევაში, დედის მიმართ გამოიყენა დამცავი ორდერი შვილის დასაცავად, რომელიც მოათავსეს კლინიკაში სწორედ დედის მოთხოვნით.

სამივე შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლომ განმარტა, რომ არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარებისას, მტკიცების მაღალი ხარისხი ენიჭება კანონის შესაბამისად შედგენილ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნას, თუმცა, აღნიშნული არ წარმოადგენს ერთადერთ მტკიცებულებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მოსამართლემ უნდა შეაფასოს გარემოებები, ნამდვილად არსებობს თუ არა არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით პაციენტის სტაციონარში მოსათავსებლად კანონით დადგენილი კრიტერიუმები, კერძოდ, პაციენტი არის თუ არა სოციალურად საშიში²⁹.

სააპელაციო სასამართლოს მხრიდან ხაზგასმით აღნიშნა, რომ **პაციენტის მხოლოდ დიაგნოზზე მითითება, არ შეიძლება გახდეს მისი არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოთავსების საფუძველი**³⁰.

სააპელაციო სასამართლოს მიდგომა, რომ წარსულში ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მკურნალობის ფაქტს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა პირის ამჟამინდელი ფსიქიკური მდგომარეობის შეფასებისას, თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტთან. ევროპულმა სასამართლომ საქმეზე: „ვარბანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ“ მიუთითა, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი წარმოადგენს თუ არა საფრთხეს საკუთარი თავისთვის ან/და სხვა ადამიანებისთვის, უნდა შეფასდეს აქტუალური მდგომარეობის გათვალისწინებით და იგი არ უნდა დაეფუძნოს მხოლოდ წარსულში მომხდარ ფაქტებს³¹. ასევე, ევროპულმა სასამართლომ საქმეში „სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ“ განაცხადა, რომ ფსიქიკური აშლილობის მქონე პირისგან მომდინარე საფრთხის შეფასებისას არ არის საკმარისი მხოლოდ მონმეთა ჩვენებები ან/და ასეთი პირის აგრესიული ქცევა³².

29 თბილისის სააპელაციო სასამართლოს ბრძანება საქმეზე N3ბ/2442-17, გვ.6

30 თბილისის სააპელაციო სასამართლოს ბრძანება საქმეზე N3ბ/1180-19, გვ. 7

31 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2000 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ვარბანოვი ბულგარეთის წინააღმდეგ“, 3.47; ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://hudoc.echr.coe.int/eng#{"tabview":"document","itemid":\["001-58842"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{)

32 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება

არანებაყოფლობითი მკურნალობის მარაგპულირებალი კანონმდებლობა

არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით პირის სტაციონარში უკანონოდ მოთავსების პრაქტიკას ხელს უწყობს კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანი და არაგანჭვრეტადი ნორმის არსებობა.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს პირის არანებაყოფლობით სტაციონირების საფუძვლებს. კანონი არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების განწევას დასაშვებად მიიჩნევს სამ შემთხვევაში³³, კერძოდ, როდესაც ფსიქიკური აშლილობის გამო პირს არ გააჩნია გაცნობიერებული გადანაცვების მიღების უნარი და:

- მისთვის ფსიქიატრიული დახმარების განწევა შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე;
- დახმარების დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის ამ პირის ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
- პაციენტმა საკუთარი მოქმედებით შეიძლება მიიღოს ან სხვას მიაყენოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

ნორმის ბუნდოვანებასა და არაგანჭვრეტადობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ:

- კანონი არ განსაზღვრავს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირისგან მომდინარე მოსალოდნელი ან არსებული „საფრთხის“ შეფასების, დადგენის, განსაზღვრის კრიტერიუმებს, შესაბამისად იძლევა ამ პირის არანებაყოფლობითი წესით სტაციონარში თვითნებურად მოთავსების შესაძლებლობას;
- კანონი საფრთხის განმსაზღვრელი კრიტერიუმის არარსებობით იძლევა შესაძლებლობას ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი არანებაყოფლობით იქნეს მოთავსებული სტაციონარში მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მას გააჩნია ფსიქიკური აშლილობა;

აღნიშნული ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების მიზნით, PHR-მა სარჩელით³⁴ მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს. ორგანიზაციის შეფასებით, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, ღირსების უფლებას, ადამიანის თავისუფლებასა და რწმენის თავისუფლებას. საქმის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში ამ დრომდე არ დასრულებულა.

საქმეზე „სტანევი ბულგარეთის წინააღმდეგ“, პ.157; ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: [http://hudoc.echr.coe.int/eng#?{"tabview":\["document"\],"itemid":\["001-108690"\]}\)](http://hudoc.echr.coe.int/eng#?{"tabview":["document"],"itemid":["001-108690"]}))

33 საქართველოს კანონი, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, მუხლი 18, პუნქტი 1

34 კონსტიტუციური სარჩელი საქმეზე მარიანა მანველიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

III. სახელმწიფოს დისკრიმინაციული პოლიტიკა სახელმწიფო მხრუნველობის ქვეშ მყოფ პირებთან მიმართებით

ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა

- საერთაშორისო სტანდარტები

ხანდაზმული პირები ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოში, რომელთა უფლებების ხელშეწყობას სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს.

სწორედ ხანდაზმული პირების მიერ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების სრული და თანაბარი სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ შემუშავებულ იქნა რეკომენდაცია ხანდაზმულთა უფლებების ხელშეწყობის შესახებ.³⁵ აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, ხანდაზმულები უნდა სარგებლობდნენ უფლებებით და თავისუფლებებით დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის ასაკის ნიშნით. ხანდაზმულები უნდა იქნენ დაცულნი ძალადობისგან, შეურაცხყოფისგან და განზრახი ან გაუფრთხილებელი უგულებელყოფისგან, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ქმედება განხორციელდა სახლში, ინსტიტუციაში თუ მის ფარგლებს გარეთ. ხანდაზმულმა პირებმა, რომლებმაც გამოიარეს ძალადობა უნდა მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა და დახმარება სახელმწიფოსგან.

სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ზომები სამედიცინო პერსონალის, მზრუნველების და ნებისმიერი შემხებლობაში მყოფი პირის ინფორმირებულობის ასამაღლებლად, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოავლინონ ძალადობა, ურჩიონ ხანდაზმულებს, რა ზომებს მიმართონ მაშინ, როდესაც ფიქრობენ, რომ ძალადობას ჰქონდა ადგილი³⁶.

ხანდაზმულთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ხელშეწყობის მიზნით, არსებობს სწრაფი შეტყობინების პრაქტიკა. მაგალითად ბელგიაში, ჩეხეთში, ფინეთსა და საფრანგეთში შეიქმნა ცხელი ხაზი, ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისთვის. ადგილობრივი მხარდაჭერის ჯგუფები ახორციელებენ ვიზიტებს ოჯახში, სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს, რათა ხანდაზმულების მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ასევე, სთავაზობენ უფასო კონსულტაციებსა და ტრენინგებს³⁷.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაში ასევე განმარტებულია, რომ ხანდაზმულებს აქვთ დამოუკიდებელი ცხოვრების, გადწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უფლება. უფლება, რომ მონაწილეობა

35 Recommendation CM/Rec(2014)2 of the Committee of Ministers to member States on the promotion of human rights of older persons.

36 Recommendation CM/Rec(2014)2 of the Committee of Ministers to member States on the promotion of human rights of older persons.

37 Recommendation CM/Rec(2014)2 of the Committee of Ministers to member States on the promotion of human rights of older persons.

მიიღონ საზოგადოებრივ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვა აქტივობებში. მათ უნდა შეეძლოთ კონსულტაციების მიღება, რათა ჰქონდეთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ. სახელმწიფოებმა სათანადო რესურსებით უნდა უზრუნველყონ ხანდაზმულები, რათა სხვების მსგავსად შეძლონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა. უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ყველა ხანდაზმულისათვის საცხოვრებელი პირობები დაკმაყოფილებულ იქნეს. უნდა გაითვალისწინონ ხანდაზმულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის პრობლემები თავიანთ პროგრამებში, სამოქმედო გეგმებსა და სხვა პოლიტიკურ ქმედებებში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საკმარისი და ადეკვატური საცხოვრებელი პირობები იმ ხანდაზმული პირებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არ სურთ საკუთარ სახლებში ცხოვრება.

ხანდაზმულ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია.³⁸ აღნიშნული დოკუმენტით ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს, მიიღონ ზომები ასაკთან ბრძოლის, ხანდაზმულთათვის ზრუნვის გაუმჯობესების და მათ სოციალურ გარიყვაზე უარის თქმის მიზნით. უზრუნველყონ ხანდაზმულთათვის საარსებო მინიმუმი და ადეკვატური საცხოვრებელი პირობები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ღირსეული ცხოვრება, ხელი შეუწყონ მედიის, მომსახურების მიმწოდებლებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, უზრუნველყონ ხანდაზმულ პირთა გაძლიერება და დამოუკიდებელი ორგანოების მიერ გრძელვადიანი ზრუნვის დანერგულებების მონიტორინგი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ არსებული საერთაშორისო რეგულაციები, სახელმწიფოებს შიდა კანონმდებლობის პარალელურად აკისრებს რიგ პასუხისმგებლობებს. შესაბამისად, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ სრულად იქნეს უზრუნველყოფილი ხანდაზმულ პირთა მიერ მათი უფლებებით დაუბრკოლებლად სარგებლობა. უნდა შექმნან ყველა პირობა იმისათვის, რომ ხანდაზმულებს ჰქონდეთ ადეკვატური სამედიცინო მომსახურება და საცხოვრებელი პირობები, სრულად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და არ იქნენ გარიყულნი მათი ასაკისა თუ სხვა ნიშნის გამო.

38 Council of Europe, Human rights of older persons and their comprehensive care, Resolution N2168, 2017 - <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-EN.asp?fileid=23768&lang=en>

• ქვეყანაში არსებული მდგომარეობა

ხანდაზმულთა უფლებების კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არ არის საკმარისად და სიღრმისეულად შესწავლილი სახელმწიფო უწყებების და სამოქალაქო სექტორის მხრიდან. რთულია თემაზე დამუშავებული ანალიტიკური დოკუმენტების მოპოვება, მიუხედავად იმისა, რომ ყველასათვის ხილულია ხანდაზმულთა რთული სოციალურ-ეკონომიკური და უფლებრივი დაცვის მდგომარეობა ქვეყანაში. ცალკეული ინფორმაცია მოიპოვება სახალხო დამცველის ანგარიშებში, სადაც მითითებულია, რომ ხანდაზმულთა მიმართ არსებულ სისტემურ პრობლემებს შორის აქტუალურია ხანდაზმულთა ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია, მათ მიმართ ძალადობა, მათ შორის, ოჯახში ძალადობა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობები, სიღარიბისა და უსახლკარობის საფრთხე, ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის პრობლემა, ხანდაზმულებზე ზრუნვის ყოვლისმომცველი გრძელვადიანი სტრატეგიის არარსებობა და სხვა.³⁹ საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციამ დაიწყო ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოვადგენთ ჩვენ მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგებს, რომელიც არ მოიცავს ხანდაზმულებთან დაკავშირებული ყველა თემის სიღრმისეულ კვლევას, არამედ წარმოადგენს მცდელობას, გააანალიზოს სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ხანდაზმულების მდგომარეობა და გამოკვეთოს სისტემის ხარვეზები.

ხანდაზმულთა სადღეღამისო მომსახურებას სახელმწიფო ახორციელებს ორი ტიპის დაწესებულებების - სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ (ტრეფიკინგის ფონდის მენეჯმენტის ქვეშ) მყოფი პანსიონატების და სათემო ორგანიზაციების (შემდგომში - კერძო პანსიონატი) მეშვეობით.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში ხანდაზმულებისთვის არსებობს სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მყოფი ორი დიდი ზომის დაწესებულება - თბილისისა და ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატები, რომლებიც 100-ზე მეტ ხანდაზმულს უწევენ მომსახურებას. რაც შეეხება კერძო პანსიონატებს, 2018 წლის მდგომარეობით საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულია 12 სათემო ორგანიზაცია⁴⁰. 2019 წლის მონაცემებით, მათ მომსახურებას იღებს 109 ხანდაზმული. რაც შეეხება მომლოდინეთა სიას, 2019 წლის მარტის მდგომარეობით, სიაში იმყოფება 80 ხანდაზმული.⁴¹

ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში განახორციელა ვიზიტები ხანდაზმულთა პანსიონატებში, კერძოდ შემდეგ პანსიონატებში: „ბასილიადა“, „ბარბარე XXI“, „ჩემი თბილი ოჯახი“ და თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი. საკითხების შესწავლისა და პანსიონატებში მიღებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, შეხვედრები ჩატარდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და

39 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წელი, გვ.282

40 სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 17.12.2018 წლის წერილი N04/67776

41 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/5407

დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთან. ასევე, დამატებითი ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებებიდან.

შეხვედრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პანსიონატებში გარემო არაერთგვაროვანია, ზოგიერთი დაწესებულების შენობა არ არის ადაპტირებული და მორგებული ხანდაზმულთა საჭიროებებს, რის გამოც, ხანდაზმულები დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ შენობიდან გასვლას ან/და სხვადასხვა სართულზე გადაადგილებას. მოპირკეთებას საჭიროებს დაწესებულებათა ეზოები. დაწესებულებებში არ აქვთ შემუშავებული ძალადობის შემთხვევების გამოვლენასთან დაკავშირებული რეგულაციები. დაფინანსების განსხვავებული მოდელის გამო დაწესებულებებში განსხვავდება ზრუნვის ხარისხიც. მომსახურე პერსონალის მრავალფეროვნება და კულტურული და რეაბილიტაციამეორიენტირებული სერვისები.

• კერძო პანსიონატები

კერძო პანსიონატების შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს დაფინანსების სიმწირე, რის გამოც დაწესებულებები ვერ უზრუნველყოფენ ფსიქოლოგის, ექიმის, ექთნისა და სათანადო რაოდენობის მომვლელთა მომსახურებას. არ არის უზრუნველყოფილი ხანდაზმულთა გადაადგილება ტრანსპორტით. მიუხედავად სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობისა, ხშირად ხანდაზმულები იძულებულნი არიან საჭირო მედიკამენტები საკუთარი ხარჯებით შეიძინონ. ზოგიერთ დაწესებულებასთან ახლოს, მუნიციპალური ტრანსპორტი არ მოძრაობს, რაც ინდივიდუალური ტრანსპორტის არარსებობის პირობებში, კიდევ უფრო აართულებს ხანდაზმულთა გადაადგილებას. ერთ-ერთ პანსიონატში ამორტიზირებულია გზა, რაც დამატებითი ბარიერია ხანდაზმულთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის. მუნიციპალური ტრანსპორტის და გზის პრობლემის გადაჭრის მიზნით, ორგანიზაციამ წერილობით მიმართა ადგილობრივ თვითმმართველობას⁴², რის შედეგადაც ერთ-ერთ კერძო პანსიონატთან მისასვლელი გზა მოპირკეთდა. ასევე, შესაბამისმა პასუხისმგებელმა უწყებამ დაიწყო ცვლილებების განხორციელება არსებულ მარშრუტში, რათა ხანდაზმულებს მიეცეთ შესაძლებლობა, დაბრკოლების გარეშე ისარგებლონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით. თუმცა, აუცილებელია პროაქტიული თანამშრომლობა ხანდაზმულთა ინტერესების სწრაფი და სრული დაკმაყოფილებისთვის.

42 http://phr.ge/home/content?content_id=869

დანესებულებების უმრავლესობას აქვს ეზო, თუმცა ყველა მათგანი საჭიროებს კეთილმოწყობას. ეზოებში არ ღვას სკამები და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, რის გამოც ხანდაზმულთა უმრავლესობა ღროის უმეტეს ნაწილს შენობაში ატარებს.

ნ.გ. ცხოვრობს ერთ-ერთ კერძო პანსიონატში, სადაც მოხდა მასთან გასაუბრება ვიზიტის დროს. მონიტორინგის დროს მას ჰქონდა ფეხის მოტეხილობა, ესაჭიროებოდა საავადმყოფოში ვიზიტი ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმების მიზნით, თუმცა, იმის გამო, რომ პანსიონატს არ ჰყავს ტრანსპორტი, იგი ვერ ახერხებდა დამოუკიდებლად გადაადგილებას. ასეთ შემთხვევებში, კერძო პანსიონატის მაცხოვრებლები, მიუხედავად იმისა, შეუძლიათ თუ არა დამოუკიდებლად, სხვა ადამიანის დახმარების გარეშე გადაადგილება, იძულებულნი არიან, საკუთარი სახსრებით ისარგებლონ ტაქსის მომსახურებით.

• დიდი ზომის სახელმწიფო პანსიონატები

განსხვავებულია მდგომარეობა თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატში. პანსიონატს ჰყავს ინდივიდუალური ტრანსპორტი, რომლით გადაადგილება ნებისმიერ დროს შეუძლიათ დანესებულებაში მცხოვრებ პირებს. პანსიონატს ჰყავს ექიმი და ფსიქოლოგი, რომლებიც ყოველდღიურად უწევენ მომსახურებას ხანდაზმულებს. დანესებულებას აქვს მედიკამენტების მარაგი, რომელთა გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო დაზღვევით ვერ ხდება ხანდაზმულთა საჭიროების უზრუნველყოფა. კერძო პანსიონატებისგან განსხვავებით, აღნიშნული დანესებულება უზრუნველყოფს ხანდაზმულთა სეზონურ დასვენებასაც. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი წარმოადგენს დიდი ზომის ინსტიტუციას, დანესებულებაში არსებული გარემო და შეთავაზებული სერვისები შედარებით უკეთესია ჩვენ მიერ მონახულებულ კერძო პანსიონატებში არსებულ მომსახურებასთან შედარებით.

განსხვავებული სერვისებით უზრუნველყოფის საკითხს განიხილავს საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშიც, რომლის თანახმად, ხანდაზმულთა პანსიონატებში მწირია მომსახურების ბიუჯეტი. ხანდაზმულები, მათი სპეციფიკური საჭიროებების შესაბამისად არ არიან უზრუნველყოფილნი მედიკამენტებით, ექიმისა და ფსიქოლოგის მომსახურებით (თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის გარდა). პრობლემურია შენობების ადაპტირებისა და ეზოების კეთილმოწყობის საკითხი. სატრანსპორტო საშუალებაზე წვდომის არქონის გამო, ბენეფიციარები ვერ ახერხებენ თემში გადაადგილებას.⁴³

43 იქვე. გვ. 285

სადღელამისო ზრუნვის დაწესებულებებში (მათ შორის ხანდაზმულთა სახლები) არსებული მდგომარეობა მწვავედ არის შეფასებული გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის, 2018 წლის ანგარიშში, რომლითაც შეფასდა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მყოფ პანსიონატებში არსებული მდგომარეობა. ანგარიშის თანახმად, ინსტიტუციებში შემაშფოთებელია ზრუნვის ხარისხი, ზოგიერთ დაწესებულებაში საცხოვრებელი პირობები არ არის ადეკვატური, პრობლემურია ძალადობის შემთხვევების გამოვლენის საკითხიც. დოკუმენტში ასევე საუბარია დაფინანსების სიმწირეზე, მონიტორინგის ნაკლებობასა და ხანდაზმულთა არასკმარის ცოდნაზე მათი უფლებების შესახებ.⁴⁴

• სახელმწიფო დაფინანსების სისტემა და მონიტორინგის შედეგები

განსხვავებულად რეგულირდება დაწესებულებებში ხანდაზმულთა დაფინანსების წესი:

ერთ ხანდაზმულ ბენეფიციარზე დღიურად გამოყოფილი თანხა შეადგენს⁴⁵ 16 ლარს სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მყოფ პანსიონატში, ხოლო 20 ლარს კერძო პანსიონატში, თუკი მისი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65 000 ქულას.

თუკი სარეიტინგო ქულა 65 001-დან 100 001-მდეა სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მყოფ პანსიონატში ბენეფიციარი მომსახურების თანადაფინანსებისთვის იხდის 3 ლარს, ხოლო კერძო პანსიონატში - 4 ლარს.

100 001-დან 150 001-მდე ქულის შემთხვევაში - სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მყოფ პანსიონატში ბენეფიციარი იხდის 5 ლარს, კერძო პანსიონატში - 6 ლარს.

„სათემო ორგანიზაციებში მომსახურებით უზრუნველყოფს ქვეპროგრამის“ ბიუჯეტი, რომელიც განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისა და ხანდაზმულების მომსახურებისთვის, 2019 წლისთვის შეადგენს 2 276 500 ლარს⁴⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით კერძო პანსიონატში მცხოვრები ხანდაზმულისთვის გამოყოფილი დღიური თანხა აღემატება ფონდის დაქვემდებარებაში მყოფ პანსიონატში მცხოვრები პირისთვის გამოყოფილ თანხას, კერძო დაწესებულება სრულად დამოკიდებულია ხანდაზმულისათვის გადაცემულ ვაუჩერზე, ხოლო ფონდს ასევე გააჩნია დამატებითი რესურსები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. იგი სარგებლობს საკუთარი ბიუჯეტით, რაც 2019 წლის მდგომარეობით შეადგენს 1 100 000 ლარს, თუმცა აღნიშნული

44 Report of the Independent Expert on the enjoyment of all human rights by older persons on her mission to Georgia, p.13

45 იქვე, მუხლი 4

46 „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა“, დანართი 1.12, მუხლი 5, პუნქტი 1

ბიუჯეტი განკუთვნილია ფონდის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა დაწესებულებისათვის. მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ფონდის სრული ბიუჯეტი იძლევა საშუალებას საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსდეს ხანდაზმულთა საჭიროებისათვის განეული სხვა ხარჯები და ეს სწორედ ის ხარჯებია, რომელიც განასხვავებს მათ მომსახურებებს კერძო პანსიონატების მომსახურებებისგან. კერძოდ, ექიმისა და ფსიქოლოგის მომსახურებით, მედიკამენტებითა და ტრანსპორტით უზრუნველყოფა და სხვა.

მნიშვნელოვანია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს მონიტორინგი განხორციელდა 5, ხოლო 2018 წელს - 2 ხანდაზმულთა კერძო პანსიონატში.⁴⁷

მონიტორინგის დოკუმენტების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებათა უმრავლესობას შემუშავებული არ აქვს მომსახურების პროგრამა, რომელშიც განერილი იქნება ინფორმაცია მომსახურების შინაარსისა და დღის წესრიგის შესახებ, პრობლემას წარმოადგენს კულტურული და გასართობი ღონისძიებების სიმწირე, რაც უზრუნველყოფდა ხანდაზმულთა ინტელექტუალური, ფიზიკური თუ სოციალური უნარების შენარჩუნებას. გამოწვევას წარმოადგენს ბენეფიციართა მომსახურების ინდივიდუალური გეგმის არარსებობა. ზოგიერთი პანსიონატის შემთხვევაში მოწესრიგებას საჭიროებს დაწესებულების ეზო, რათა ხანდაზმულებმა შეძლონ თავისუფლად გადაადგილება და დასვენება.

სახელმწიფო დაფინანსების, პანსიონატებში არსებული მდგომარეობის მონიტორინგისა და კერძო და სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მყოფი პანსიონატების მიმართ არსებული რეგულაციების შესწავლის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა მომსახურების თვალსაზრისით არასათანადო, არასრულყოფილი და ამავდროულად დისკრიმინაციულია კერძო და სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მყოფი პანსიონატების მიმართ.

47 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N01/5407

• დისკრიმინაციული პოლიტიკა

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთხსენებული ორივე ტიპის დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ⁴⁸, დაწესებულებებში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა და სამართლებრივი რეგულაციები არ უზრუნველყოფს სათანადო და თანასწორ ზრუნვას ყველა მოხუცზე. კერძოდ, რიგი მომსახურებებისა, რომლებიც სავალდებულოა და არსებობს დიდი ზომის ინსტიტუციებში, არ არის ხელმისაწვდომი კერძო პანსიონატების მაცხოვრებლებისთვის, მაშინ როდესაც ორივე ტიპის სახლში ერთნაირი საჭიროების ხანდაზმულები ცხოვრობენ. მაგალითისთვის, ასეთი შეიძლება იყოს ფსიქოლოგისა და ექიმის მომსახურებით უზრუნველყოფა, ბენეფიციართა გართობისა და დასვენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, მედიკამენტებითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა და სხვა.

ზემო აღნიშნულ ინსტიტუციებში ხანდაზმულთა განაწილება ხდება არა მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, არამედ რიგითობის მიხედვით. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი ორი ხანდაზმული, განაწილების შედეგად აღმოჩნდნენ კერძო და სახელმწიფოს მმართველობის ქვეშ მყოფ პანსიონატებში და შესაბამისად, სრულიად განსხვავებული იქნება მათი როგორც დაფინანსების წესი, ასევე მომსახურება, რომელსაც ისინი მიიღებენ აღნიშნულ დაწესებულებებში.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი რეგულირების პირობებში ადგილი აქვს თანასწორობის უფლების უხეშ ხელყოფას. ვინაიდან ორივე ტიპის დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ემსახურება არსებითად ერთნაირ კონტიგენტს და აქვს იდენტური მიზანი, უნდა იყოს უზრუნველყოფილი იმგვარად, რომ თანაბრად ღირსეული და სრულყოფილი მომსახურება მიაწოდოს ხანდაზმულ მოქალაქეებს. ამისათვის უნდა დამკვიდრდეს ერთიანი სტანდარტი, რომელიც სავალდებულო იქნება ყველა დაწესებულებისთვის და შესაძლებელს გახდის, თითოეულმა ხანდაზმულმა მიიღოს ყველა ის მომსახურება, რომელიც აუცილებელია მათი ღირსეული ცხოვრებისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით ორგანიზაციამ განცხადებით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს.

ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ სახელმწიფო სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულთა საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებას. სადღეღამისო დაწესებულებების მიმართ არსებული პოლიტიკა საჭიროებს ძირეულ ცვლილებას იმგვარად, რომ თითოეული ხანდაზმული უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული საცხოვრებელი პირობებით და იღებდეს ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამის მომსახურებას.

48 საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 იანვრის N22 დადგენილება „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4

შპმ პირთა პანსიონატები

- დიდი ზომის ინსტიტუციების არსებობა, რომორც სისტემური დისკრიმინაცია

საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყების მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კვლავ განაგრძობენ ცხოვრებას დიდი ზომის ინსტიტუციებში, რაც გამორიცხავს მათი თავისუფალი განვითარების უფლებასა და ხელს არ უწყობს ადამიანების დამოუკიდებელ ცხოვრებას. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციამ დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცალკე გამოყო აღნიშნული საკითხი კონვენციის მე-19 მუხლში, ასევე გამოსცა მეხუთე ზოგადი კომენტარი, რომელშიც კიდევ უფრო დეტალურად განმარტა ზემოაღნიშნულ უფლებათა განსაკუთრებული მნიშვნელობა⁴⁹.

კომიტეტის მოსაზრებით, დამოუკიდებელი ცხოვრება გულისხმობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი უზრუნველყოფილი იყოს ყველა აუცილებელი საშუალებით, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები. პირადი ავტონომია და თვითგამოხატვა ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. რაც შეეხება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვას, აღნიშნული გულისხმობს წვდომას ყველა საჯარო თუ ინდივიდუალურ სერვისზე. მიდგომა, რომ ზოგიერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს არ შეუძლია დამოუკიდებლად ცხოვრება და ინსტიტუცია შესაძლოა, მათთვის საცხოვრებლად საუკეთესო გარემოა, არ უნდა იყოს გაზიარებული.⁵⁰

დღეის მდგომარეობით ქვეყანაში მოქმედებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 3 (დუშეთის, მარტყოფის და ძეგრის) და ბავშვთა ერთი (კოჯორის) რეზიდენტული, დიდი ზომის პანსიონატი. რისი არსებობაც თავისთავად ეწინააღმდეგება შპმ პირთა კონვენციას და აღიარებულ სტანდარტებს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ინსტიტუციური მოწყობა, ფსიქო-სოციალური სერვისებისა და პროფესიული კადრების ნაკლებობა და დაბალი პროფესიონალიზმი არსებით გამოწვევებს ქმნის შპმ პირთათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სერვისის შეთავაზების თვალსაზრისით. გამოწვევას წარმოადგენს არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, გარესამყაროსთან და ოჯახთან კონტაქტის სიმწირე, სოციალური პასიურობა და საზოგადოებისგან იზოლაცია. დაწესებულებებში არსებობს სხვადასხვა გარემოების საფუძველზე ბენეფიციართა მიმართ არათანაბარი მოპყრობის მაღალი რისკი.⁵¹

49 <https://www.ohchr.org/en/hrbodies/crpd/pages/gc.aspx>

50 <https://www.ohchr.org/en/hrbodies/crpd/pages/gc.aspx>

51 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში, 2016 წელი, გვ. 30

რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების ბენეფიციარებს შეზღუდული აქვთ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, რაც განაპირობებს მათ მიმართ არათანაბარ მოპყრობას ინსტიტუციაში ცხოვრების საფუძვლით. ხდება ოჯახების ხელოვნური განცალკევება, შშმ პირები ვერ ახერხებენ შეინარჩუნონ კავშირები საკუთარ შვილებთან, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ოჯახების მთლიანობის შენარჩუნებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციების საპირისპიროდ, ინსტიტუციაში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ცხოვრობენ საზოგადოებისგან იზოლირებულად, ვერ სარგებლობენ სერვისებით, რომლებიც უზრუნველყოფდა მათ დამოუკიდებლობას და ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინსტიტუციები ვერ უზრუნველყოფენ აღნიშნულ პირთა ჩართვას საგანმანათლებლო, კულტურულ თუ გასართობ ღონისძიებებში. მათი უმრავლესობა ვერ სარგებლობს აუცილებელი სამედიცინო და სარეაბილიტაციო მომსახურებით. შედეგად, აღნიშნული პირები ინსტიტუციაში ცხოვრების გამო ხდებიან სისტემური დისკრიმინაციის მსხვერპლნი.

• პანსიონატებში არსებული არასასურველი ბარემო

საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის იურისტებმა არაერთი ვიზიტი განახორციელეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატებში. ვიზიტებისას შეიმჩნეოდა ინსტიტუციების მაცხოვრებლებსა და პერსონალს შორის დაძაბული, კონფლიქტური დამოკიდებულება. მაცხოვრებლების განცხადებით, ხშირია ოთახებიდან სხვადასხვა ნივთების მოპარვის შემთხვევები, თუმცა აღნიშნულზე ეფექტურად რეაგირება და პრევენციული ჩარევა არ ხდება დირექციისა და პერსონალის მხრიდან. კონფლიქტური სიტუაციები ხშირია თავად მაცხოვრებლებს შორის, რომლის გადანყვეტა ასევე სირთულეს წარმოადგენს მენეჯმენტისთვის.

მაცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ პანსიონატში არსებული სიტუაცია ხშირად უკონტროლო ხდება, ადმინისტრაცია ვერ ახერხებს დაარეგულიროს არსებული დაძაბული სიტუაცია. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ პანსიონატში ვიზიტისას, ორგანიზაციის იურისტები თავად შეესწრნენ პერსონალსა და მაცხოვრებელს შორის კონფლიქტის ფაქტს, რომლის განეიტრალება არა დირექციის, არამედ თავად მაცხოვრებლების მიერ მოხდა. დაწესებულებათა პერსონალს არ აქვს კონფლიქტების თავიდან აცილებისა და სპეციალურ გარემო პირობებში მუშაობის სათანადო პროფესიული მზადყოფნა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამგვარი სიტუაციების მართვის დროს.

პანსიონატის ერთ-ერთი მაცხოვრებლის განცხადებით, პანსიონატის დირექტორის მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა ძალადობის ფაქტს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ორგანიზაციამ ინფორმაცია მიაწოდა, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახალხო დამცველს.⁵² აღსანიშნავია, რომ პანსიონატებში არსებულ დაპირისპირებასთან დაკავშირებით საუბარია საქართველოს სახალხო დამცველის მიერ შემუშავებულ 2016 წლის მონიტორინგის ანგარიშშიც.⁵³ აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს. რეკომენდაციის ფარგლებში სახალხო დამცველმა ფონდს მოუწოდა პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი რეგულარული ღონისძიებების განხორციელებისკენ, ასევე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო პროგრამების, მათ შორის სოციალური და ფსიქო-სარეაბილიტაციო მიმართულებების გაძლიერებისკენ.⁵⁴ მიუხედავად ამისა, დღეის მდგომარეობით, პანსიონატებში ამ მიმართულებით არსებული ვითარება კვლავ უცვლელია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები ირღვევა არა მხოლოდ დიდი ზომის ინსტიტუციაში ცხოვრების თვალსაზრისით, არამედ აღნიშნულ დაწესებულებებში ცხოვრების პირობებშიც მათ არ აქვთ შესაძლებლობა იცხოვრონ მშვიდ და უსაფრთხო გარემოში. დაწესებულებათა ადმინისტრაციებს კვლავ არ აქვთ შემუშავებული მართვის ფორმა, რომლითაც შესაძლებელი გახდება არსებული კონფლიქტური სიტუაციების ეფექტური განეიტრალება იმგვარად, რომ მაცხოვრებლებმა შეძლონ დაცულ გარემოში მშვიდად თანაცხოვრება.

• სათანადო უწყებების მხრიდან შშმ პირთა საჭიროებების უზულებელყოფა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატებში ვიზიტებისას გამოიკვეთა არაერთი სისტემური და ინდივიდუალური პრობლემა, რომლებზე დროული და ეფექტური რეაგირება არ ხდება პანსიონატების ადმინისტრაციის და სათანადო უწყებების მხრიდან. პანსიონატში მაცხოვრებელ პირებთან მიმართებით მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს კუთვნილ პენსიაზე წვდომის შეზღუდვა. პანსიონატის იმ მაცხოვრებლებს, რომელთა მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცედურებიც მიმდინარეობს სასამართლოში, არ აქვთ წვდომა საკუთარ სოციალურ გასაცემელზე. მაშინ, როდესაც სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც არ არიან ინსტიტუციაში მოთავსებულები, მაგრამ საჭიროებენ სტატუსის ცვლილებას, უპრობლემოდ სარგებლობენ სოციალური გასაცემლით. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციაში მცხოვრები, წარსულში

52 <https://bit.ly/2krgRQF>

53 იქვე. გვ. 10

54 საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატში არსებული პრობლემების თაობაზე, 2017 წ.

ქმედუნაროდ აღიარებული პირები უთანასწორო მდგომარეობაში იმყოფებიან ამავე სტატუსის მქონე იმ პირებთან შედარებით, რომლებიც არ ცხოვრობენ პანსიონატში.

მიუხედავად იმისა, რომ პანსიონატში მცხოვრები პირები იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე, ეს ფაქტი არ გამოორიცხავს მათთვის ისეთი საჭიროებების არსებობას, რაც სცდება პანსიონატში მათთვის უზრუნველყოფილ პირობებს, შესაბამისად, ისინი, სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მსგავსად, უფლებამოსილნი არიან დაუბრკოლებლად ისარგებლონ კუთვნილი სოციალური გასაცემლით. აღნიშნულ საკითხზე დისკრიმინაციის დადგენის მოთხოვნით ორგანიზაციამ განხადებით მიმართა სახალხო დამცველს, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება დღეის მდგომარეობით მიღებული არ არის.

დანესებულების მაცხოვრებელთა საჭიროების უგულებელყოფას ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს ასევე დანესებულების ადმინისტრაციის მხრიდან.

ორგანიზაციას სამართლებრივი დახმარებისთვის მომართა ერთ-ერთი პანსიონატის მაცხოვრებელმა, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი მიენიჭა მრავალი წლის წინ. ვინაიდან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტატუსის მინიჭების შემდგომ მკვეთრად იყო გაუარესებული, ის მიიჩნევდა, რომ საჭიროებდა სტატუსის ცვლილებას, რაც ასევე გამოიწვევდა მისთვის სახელმწიფო პენსიის გაზრდას. მიუხედავად აღნიშნული პირის არაერთი მიმართვისა, დანესებულების ადმინისტრაციამ უყურადღებოდ დატოვა მისი საჭიროება. მას შემდეგ, რაც PHR-მა განცხადებით მიმართა დანესებულების ადმინისტრაციას, მათ მიერ უზრუნველყოფილი იქნა აღნიშნული პირის მოთხოვნები დაუყოვნებლივ. შედეგად, მას შეეცვალა სტატუსი და შესაბამისად, სარგებლობს გაზრდილი სახელმწიფო გასაცემლით.

შესაბამისი უწყებების მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროების უგულებელყოფის მაგალითს წარმოადგენს ორგანიზაციის წარმოებაში არსებული კიდევ ერთი საჩმე.

პანსიონატში მცხოვრებმა მხარდაჭერის მიმღებმა პირმა, ორგანიზაციას მიაწოდა ინფორმაცია, დაგროვებით საპენსიო ანაბარზე არსებული თანხის გამოყენების პროცესში ხელშეშლასთან დაკავშირებით და მოითხოვა აღნიშნული კუთხით დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ დანესებულების ადმინისტრაციას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჰქონდა ინფორმაცია პირის საჭიროებასთან დაკავშირებით, მათი მხრიდან პრობლემის გადაჭრის მიზნით არავითარი ქმედება არ განხორციელებულა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ორგანიზაციამ განცხადებით მიმართა ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს, ფონდმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საანაბრე ანგარიშზე დაგროვებული თანხის მიღება/ განკარგვის ნაწილში აღნიშნული პირისთვის მხარდამჭერის დანიშვნა.

ზემოაღნიშნული საჩმეები ცხადყოფს, რომ დანესებულების ადმინისტრაციის მხრიდან არ ხდება შშმ პირთა უფლებების პროაქტიული დაცვა და ინტერესების გათვალისწინება. მათი მხრიდან, ზოგიერთ შემთხვევაში, სრულიად იგნორირებულია შშმ პირთა საჭიროებები, ხოლო რიგ შემთხვევებში მოქმედებები დაგვიანებულია, აქვს ფორმალური ხასიათი და არ არის შედეგზე ორიენტირებული.

დასკვნა

ანგარიშში განხილული საკითხები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში, განსაკუთრებით, არაპრივილეგირებული ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით კვლავ ნარჩუნდება პრობლემები. საანგარიშო პერიოდში არცერთი სისტემური პრობლემის გადაჭრა ან არსებითი გაუმჯობესება არ მომხდარა. განსაკუთრებით პრობლემურია მართლმსაჯულების მიუწვდომლობა ადამიანებისთვის, ვისთვისაც სასამართლო უფლებების აღდგენის უკანასკნელი საშუალებაა, ხოლო სასამართლოს მიერ საქმეთა გაჭიანურების პრაქტიკა დაგვიანებული მართლმსაჯულების ტოლფასია. ამასთან, ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, სერვისები/პროგრამები, რომლებსაც სახელმწიფო მოქალაქეებს, განსაკუთრებით კი ბავშვებს და შშმ პირებს სთავაზობს, ვერ უზრუნველყოფს მათი არსებითი საჭიროებების მინიმალურ დაკმაყოფილებასაც კი.

ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირთა მიმართ არასათანადო მოპყრობა, სათანადო სერვისების არარსებობა, დეინსტიტუციონალიზაციის შემთავრებული გარემოებები, არასათანადო საცხოვრებელი პირობები კვლავაც მოუგვარებელ პრობლემად რჩება. სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღებას საჭიროებს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ხანგრძლივად მცხოვრებ ადამიანთა საჭიროებების შეფასებისა და სათემო სერვისებზე გადამისამართების შეუძლებლობაც. ამ პირთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესაბამისი სოციალური და ეკონომიკური გარანტიების შექმნა.

გამოწვევას წარმოადგენს ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხიც. სახელმწიფო სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულთა საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებას. სადღეღამისო დაწესებულებების მიმართ არსებული პოლიტიკა საჭიროებს ძირეულ ცვლილებას იმგვარად, რომ თითოეული ხანდაზმული უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული საცხოვრებელი პირობებით და იღებდეს ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამის მომსახურებას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

საქართველოში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დაწყების მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კვლავ განაგრძობენ ცხოვრებას დიდი ზომის ინსტიტუციებში, რაც გამოიწვევს მათი თავისუფალი განვითარებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის უფლებას. ინსტიტუციაში მცხოვრებ პირებს შეზღუდული აქვთ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება, არ აქვთ შესაძლებლობა იცხოვრონ შვილებთან ერთად, უმეტესი მათგანი, საჭიროების მიუხედავად, ვერ სარგებლობს აუცილებელი სამედიცინო და რეაბილიტაციის მომსახურებით, არა აქვს კულტურულ, სპორტულ და სოციალურ გარემოში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა. გამომდინარე აქედან, აღნიშნული პირები ინსტიტუციაში ცხოვრების გამო ხდებიან სისტემური დისკრიმინაციის მსხვერპლნი.

რეკომენდაციები

- საქმეთა განხილვის გაჭიანურების საკითხის მოგვარების მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშაოს განსაკუთრებით სენსიტიურ და არსებითი მნიშვნელობის მქონე საქმეთა პრიორიტეტული, დროში მაქსიმალურად ეფექტური განხილვის რეგულაცია.
- საერთო სასამართლოს მოსამართლეთა მხრიდან მოხდეს არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საკითხებზე, PHR-ის მიერ შექმნილი მნიშვნელოვანი პრეცედენტების გათვალისწინება, რათა თავიდან იქნეს აცილებული სისტემური დისკრიმინაციის შემთხვევები;
- საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების 2015–2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების დროული და ეფექტიანი იმპლემენტაცია;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კოორდინაციის გზით დაიწყოს მუშაობა რელევანტური საცხოვრისის სერვისების შექმნის საკითხზე, რათა სპეციალიზებულ დაწესებულებებში (ფსიქიატრიული დაწესებულებები, შშმ პირთა პანსიონატები) განთავსებული პირები უზრუნველყოფილ იყვნენ ადეკვატური საცხოვრისით;
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ნი თვეზე მეტი ხნით მოთავსებული პაციენტების საჭიროებების შეფასება მათი დაწესებულებიდან გაწერის და სათემო სერვისებზე გადამისამართების მიზნით;
- სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფის მიმართულებით და ერთი მხრივ, შექმნას რელევანტური სათემო სერვისები, ხოლო მეორე მხრივ, განავითაროს და დახვეწოს ქვეყანაში აღნიშნული მიმართულებით უკვე არსებული სერვისები;
- მოხდეს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა, ექიმ-ფსიქიატრთა საექსპერტო კომისიისა და საპატრულო პოლიციის გადამზადება, რათა პირის ფსიქიკური საჭიროების შეფასებისას მათი მხრიდან მოხდეს საკითხის ყოველმხრივი გამოკვლევა და არანებაყოფლობით მკურნალობას არ დაექვემდებაროს პირი მხოლოდ იმის გამო, რომ მას აქვს ფსიქიკური დიაგნოზი და წარსულში ერთხელ უკვე ჰქონდა არანებაყოფლობითი მკურნალობის გამოცდილება;

- საქართველოს პარლამენტმა „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლში განახორციელოს ცვლილება, კონკრეტულად განისაზღვროს საფრთხის კრიტერიუმები, რათა კანონი აღარ იძლეოდეს ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის არანებაყოფლობითი წესით სტაციონარში თვითნებურად მოთავსების შესაძლებლობას;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს ხანდაზმულთა საჭიროებების სრულად დაკმაყოფილება. სადღეღამისო დაწესებულებების პოლიტიკის მიმართ გაატაროს ძირეული ცვლილებები იმგვარად, რომ თითოეულ ხანდაზმულ უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული საცხოვრებელი პირობებით, იღებდეს ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამის მომსახურებას და მაქსიმალურად აღმოიფხვრას პრივილეგიებულ მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევები;
- დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით დაიხუროს შშმ პირთა პანსიონატები და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები საოჯახო და სათემო მომსახურების სერვისების დანერგვის მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ოჯახების გამოთლიანება, მაქსიმალურად ადამიანზე ორიენტირებული საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ამ პირთა უფლებების პროაქტიული დაცვა და უსაფრთხოება.
- სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ შშმ პირთა პანსიონატებში არსებული კონფლიქტური სიტუაციების დეესკალაციის მიზნით გატარდეს ღონისძიებები, მათ შორის, მოხდეს ფსიქოლოგიური სამსახურის ჩარევა;
- სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ განხორციელდეს შშმ პირთა ინსტიტუციების პროფესიული და დამხმარე პერსონალის გადამზადება შშმ პირთა საჭიროებებისა და რთული ქცევის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.